



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აღდგენითი მკურნალობის ბავშვთა საავადმყოფო

აღდგენითი მკურნალობის ბავშვთა საავადმყოფო, რეაბილიტაციის ცენტრი, საქართველო, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსი. გაიხსნა 1980 თბილისში, ცენტრში არის სტაციონარული განყ-ბა (190 საწოლი) და ამბულატორია (180 მიღება), სამედ. რეაბილიტაციის ისეთი საშუალებები, როგორცაა სამკურნ. ვარჯიშისა და მასაჟის, გოგირდიანი, ჩვეულებრივი წყლის ტალახის სამკურნ. განყ-ბები, ფიზიოთერაპიის, რეფლექსოთერაპიის, საპროთეზო ლაბორ., ლოგოპედიის კაბინეტები. ცენტრში სამედ. რეაბილიტაციასთან ერთად ყურადღება ექცევა სოციოლოგიურ, პედ.-აღმზრდელობითი და ფსიქოლ. რეაბილიტაციას. აქ ტარდება შრომითი თერაპია, მუშაობენ აღმზრდელ-პედაგოგები, სოციოლოგ-დეფექტოლოგები, არის სკოლა (ოთხნაწიანი) და სხვ. ბავშვებისათვის მოწყობილია კალათბურთის, ფრენბურთის, მცირე ტურიზმისა და სხვა გასართობი მოედნები, დარბაზი თვითშემოქმედებითი მუშაობისათვის, აქვთ რადიო, ტელევიზორი, კონოლარბაზი და სხვ. მკურნალობენ ცენტრ. ნერვული სისტემის ისეთ ორგ. დაზიანებას, რ-იც მიმდინარეობს საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის ფუნქციის მოშლითა და ფსიქიკის განვითარების შეკავებით, აგრეთვე სუნთქვის სისტემის, ალერგიულ, რევმატოიდულ დაავადებებს (არააქტიურ ფაზაში, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის თანდაყოლილ და შეძენილ დეფორმაციებს, ტრავმის ნარჩენ მოვლენებს, ძვლების სისტემურ დაავადებებს. სამკურნალოდ ღებულობენ ბავშვებს 2 თვიდან 15 წლამდე. მკურნალობის ხანგრძლივობა: I კურსი - 1,5 - 6 თვე, მთლიანად 3 - 5 წელი.

თ.
ქორეულოაძე
